

შპს ჯეოფაიფ ჩემიკალ

თბილისი, აგლაძის 39

ს/ნ: 404525643

TEL: 571600677

შპს „ჯეოფაიფ ჩემიკალ„ (ს.ნ 404525643)

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თბილისი

2025 წლის 16 სექტემბერი

სარჩევი

კომპანია და მისი საქმიანობა.....	3
1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	4
2. მოგება - ზარალის ანგარიშგება	5
3. კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	6
მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.....	7
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10
1.1 ფული და ფულის ეკვივალენტები.....	10
1.2 სავაჭრო მოთხოვნები, ავანსები, სხვა.	10
1.3 მარაგები, სხვა... ..	10
1.4 საინვესტიციო ქონება.....	10
1.4 ძირითადი საშუალებები, სხვა გრძელვადიანი აქტივები	11
1.5 ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	11
1.7 მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხები.....	11
1.8 საგადასახადო ვალდებულებები.	12
მოგება-ზარალის ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	12
2.1 ამონაგები.....	12
2.2 სხვა შემოსავლები.....	12
2.3 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.	13
2.4 ფინანსური და სხვა არასაოპერაციოს ხარჯი.....	13
საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	13

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ჯეოფაიფ ჩემიკალი“ დაფუძნდა 2016 წლის 26 დეკემბერს, გადასახადის გადამხდელად კი დარეგისტრირდა 2017 წლის 16 იანვარს. კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, მდებარეობს საქართველოში და იმყოფება საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს რეგულირების ქვეშ. კომპანიის ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, თბილისი, აგლაძის ქ. 39.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „ჯეოფაიფ ჩემიკალის“ მფლობელია ნინო შარაშიძე (100%).

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- არასპეციალიზებული საბითუმო ვაჭრობა;

- საკუთარი ან იჯარით აღებული საცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა;

- სხვა საქმიანობა, რაც მოქმედი კანონით არ არის აკრძალული.

ყოველდღიურ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებს კომპანიის დირექტორი ირაკლი ღუმბაძე.

შპს ჯეოფაივ ჩემიკალ

თბილისი, აგლამის 39

ს/ნ: 404525643

TEL: 571600677

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

31.12.2022, 31.12.2023 და 31.12.2024 დასრულებული წლისთვის (ქართული ლარი)

ფინანსური მდგომარეობა	შენიშვნა	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1.1	65971	83	69712
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1.2	1690675	1597221	1141834
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	1.2	793121	247836	61734
სხვა მოკლევადიანი აქტივები	1.2	-	1003	956
მარაგები	1.3		16725	-
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	1.3	6479	1378	-
საინვესტიციო ქონება	1.4	4227496	3154387	2383880
ძირითადი საშუალებები	1.4	397658	2418567	1937325
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	1.5	4759470	3469326	3485580
სხვა გრძელვადიანი აქტივები	1.4	68729	38076	35084
სულ აქტივები		12009598	10944600	9116105
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	1.7	557576	995478	116062
გამომუშავებული შემოსავალი(მიღებული ავანსი)	1.7	6480	171688	6480
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	1.7	715734	-	-
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	1.7	4830928	3565003	2823125
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1.7	6811	-	-
საგადასახდო ვალდებულებები	1.8	209324	94206	213966
სულ ვალდებულებები		6326853	4826376	3159633
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		5682745	6118225	5956472
სულ საკუთარი კაპიტალი		5682745	6118225	5956472
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		12,009,598	10,944,600	9,11,6105

ხელმოწერილი პირები:

ი. 8 7 7 5 1

დირექტორი ი. ღუმბაძე



მთავარი ბუღალტერი მ.აფრიაშაშვილი

16 სექტემბერი, 2025

თბილისი, საქართველო

2. მოგება - ზარალის ანგარიშგება

31.12.2024 და 31.12.2023 დასრულებული წლისთვის (ქართული ლარი)

მოგება/ზარალი	შენიშვნა	12/31/2024	12/31/2023
ამონაგები	2.1	1,981,754	4,261,438
გაყიდვების თვითღირებულება		-1,041,045	-2,969,066
საერთო მოგება		940,709	1,292,371
სხვა შემოსავლები	2.2	3,063,240	86,375
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	2.3	-609,300	-423,467
სხვა ხარჯები	2.3	-	-26,506
საოპერაციო მოგება		3,394,650	928,774
ფინანსური ხარჯი	2.4	-279,316	-240,376
სხვა არასაოპ. ხარჯი	2.4	-2,374,343	-229,432
მოგება დაბეგრამდე		740,991	458,966
მოგების გადასახადი		-176,471	-44,582
წმინდა მოგება		564,520	414,384

ხელმომწერი პირები:

დირექტორი ი. ღუმბაძე

მთავარი ბუღალტერი მ. აფრიაშაშვილი



[Handwritten signature]

16 სექტემბერი, 2025

თბილისი, საქართველო

შპს ჯეოფაივ ჩემიკალ

თბილისი, აგლამის 39

ს/ნ: 404525643

TEL: 571600677

3. კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

31.12.2022, 31.12.2023 და 31.12.2024 დასრულებული წლისთვის (ქართული ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბერი	0	5,956,472	5,956,472
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	0	414384	414384
გაცემული დივიდენდი	0	-252631	-252631
2023 წლის 31 დეკემბერი	0	6,118,225	6,118,225
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	0	564520	564520
გაცემული დივიდენდი	0	-1000000	-1000000
2024 წლის 31 დეკემბერი	0	5,682,745	5,682,745

ხელმომწერი პირები:

დირექტორი ი. ღუმბაძე



მთავარი ბუღალტერი მ. აფრიაშაშვილი

16 სექტემბერი, 2025

თბილისი, საქართველო

მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. (2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის).

აღსანიშნავია, რომ შესადარისობისათვის 2024 წლის 31 დეკემბრის მონაცემებთან ერთად, გამოყენებულია 2023 და 2022 წლის დასრულებული პერიოდის მონაცემები.

ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, რადგანაც ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ეს ვალუტა არის ყველაზე მოსახერხებელი წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებელთათვის და ყველაზე უკეთ ასახავს მიმდინარე პროცესებისა და გატარებების ეკონომიკურ ეფექტს კომპანიაზე.

უცხოური ვალუტის კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31/12/2023	31/12/2022	31/12/2024
1 აშშ დოლარი/ლარი	2.6894	2.7020	2.8068
1 ევრო/ლარი	2.9753	2.8844	2.9306

შპს ჯეოფაივ ჩემიკალ

თბილისი, აგლამის 39

ს/ნ: 404525643

TEL: 571600677

შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები

პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავლის საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

მომსახურების გაწვიდან მიღებული შემოსავლები

მომსახურების გაწვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. შემოსავალი რეალიზაციიდან აღიარდება, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. როდესაც კომპანიას შეუძლია საიმედოდ შეაფასოს გაწეული მომსახურების შედეგები, მასთან დაკავშირებული შემოსავლის აღიარება ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, გაწეული მომსახურების შესრულების სტადიის მიხედვით. თუ ამონაგები უკვე აღიარებულია და შემდეგ საეჭვო გახდება გადასახდელი თანხის ამოღება, ამოსაღები თანხა აღიარდება ხარჯის სახით და არა როგორც უკვე ასახული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა ან ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯიდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისთვის.

16 სექტემბერი, 2025

თბილისი, საქართველო

შპს ჯეოფაიფ ჩემიკალ

თბილისი, აგლაძის 39

ს/ნ: 404525643

TEL: 571600677

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სასარგებლო მომსახურების ვადა:

ძირითადი საშუალებები	სასარგებლო ვადა(წელი)
მანქანა-დანადგარები	2-15
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-12
ოფისის აღჭურვილობა	2-12
სატრანსპორტო საშუალებები	2-10
სხვა	2-10

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებოპერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაირთვება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალურ ანგარიშგებაში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში და ფულს ბანკში. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყიდად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება (მიწა ან შენობები, ან შენობის ნაწილი, ან ორივე ერთად), რომელსაც ფლობს მესაკუთრე, ან მოიჯარე ფინანსური იჯარის პირობებით, საიჯარო შემოსავლების მიღების ან ღირებულების ზრდის, ან ორივე მიზნით.

შპს ჯეოფაივ ჩემიკალ

თბილისი, აგლაძის 39

ს/ნ: 404525643

TEL: 571600677

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1.1 ფული და ფულის ეკვივალენტები.

კომპანიის ფულადი სახსრები მითითებულ საანგარიშგებო პერიოდებში მოიცავს შემდეგს:

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
ნაღდი ფული საღაროში	-	-	15,915.86
ფული საბანკო ანგარიშებზე	65,971	83	53,797
სულ:	65,971	83	69,712

1.2 სავაჭრო მოთხოვნები, ავანსები, სხვა.

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,690,675	1,597,221	651,834
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	114,671	247,836	61,734
დარიცხ. მოთხოვნები (მისაღები დივიდ.)	-	-	490,000
გაცემული სესხები	678,450	-	-
სხვა მოკლევადიანი აქტივები	-	1,003	956
	2,483,795	1,846,059	1,204,524

1.3 მარაგები, სხვა...

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
სასაქონლო მატერიალური მარაგი	-	16,725.09	-
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	6,479	1,378	-
	6,479	18,103	0

1.4 საინვესტიციო ქონება.

კომპანიამ, მითითებულ საანგარიშგებო პერიოდებში შეიძინა მიწის ნაკვეთები, შენობები საიჯარო შემოსავლების მიღების და ღირებულების ზრდის მიზნით.

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
მიწის ნაკვეთები	1,992,806	1,805,656	1,185,356
ნაგებობები	169,570	223,851	19,492
შენობები	904,961	931,456	995,306
დაუმთავრებელი მშენებლობა	1,160,159	193,424	183,726
	4,227,496	3,154,387	2,383,880

16 სექტემბერი, 2025

თბილისი, საქართველო

შპს ჯეოფაიფ ჩემიკალ

თბილისი, აგლამის 39

ს/ნ: 404525643

TEL: 571600677

1.4 ძირითადი საშუალებები, სხვა გრძელვადიანი აქტივები

	მანქანა- დანადგარები	სხვა	ავჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2023	2,420,245	42,084.00	11,366	184,257	2,657,952
შემოსვლა	12,539.59	36,691	-	-	49,230
გასვლა	-1,998,911		-3,898.32	-176,708.25	-2,179,517
31 დეკემბერი 2024	433,874	78,775	7,467	7,549	527,665
ცვეთა					
31 დეკემბერი 2023	-184,130	-4,008.40	-6,923	-6,247.93	-201,309
პერიოდის ცვეთა	-114,476.71	-6,037	-3,736	-11,553.76	-135,804
გასვლა	258,193	-	3,898	13,744	275,835
31 დეკემბერი 2024	-40,414	-10,046	-6,761	-4,058	-61,278
წმინდა საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2023	2,236,115	38,076	4,443	178,010	2,456,643
31 დეკემბერი 2024	393,460	68,729	706	3,492	466,387

ძირითადი საშუალებებისათვის ცვეთის ღირებულების მეთოდი- წრფივი.

ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის საწვავის შესყიდვა წარმოებს ბარათებით და აღირიცხება შესყიდვის ღირებულებით, მარაგების სახით განცალკევებულად. საწვავი ჩამოიწერება სასაქონლო ზედნადების ან ავტოსაგზაო ბარათების მიხედვით ფაქტობრივად გარბენილი კილომეტრებისა და ხარჯის ნორმების შესაბამისად.

1.5 ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში

2020 წლის ივლისში, შპს ჯეოფაიფ ჩემიკალმა განახორციელა ინვესტიცია და შეისყიდა 49% - იანი წილი შპს ქართული მილის მეწილე ფიზიკური პირებისაგან, ხოლო 2024 წლის 10 იანვარს შეისყიდა 12% წილი შპს ქართული მილის მეწილე ფიზიკური პირისგან, ჯამში ფლობს 61% წილს.

1.7 მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხები

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	557,576	995,478	116,062
მიღებული ავანსები	6,480	171,688	6,480

16 სექტემბერი, 2025

თბილისი, საქართველო

შპს ჯეოფაივ ჩემიკალ

თბილისი, აგლამის 39

ს/ნ: 404525643

TEL: 571600677

მოკლევადიანი სესხები	715,734	-	
გრძელვადიანი სესხები	4,830,928	3,565,003	2,823,125
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	6,811.45	-	-
	6,117,529	4,732,169	2,945,667

1.8 საგადასახდო ვალდებულებები.

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
გადასახდელი დღგ	159,204	41,739	172,441
ქონების გადასახადი	50,120.40	52,467.73	41,525.00
	209,324	94206	213966

მოგება-ზარალის ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2.1 ამონაგები.

ამონაგები	12/31/2024	12/31/2023
საქონლის გაყიდვა	1,169,293	3,574,711
მომსახურების გაწევა	812,461	686,727
სულ	1,981,754	4,261,438

2.2 სხვა შემოსავლები.

სხვა შემოსავალი	12/31/2024	12/31/2023
ძირ. საშუალების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	2,060,016	-
მოგება კურსთაშორის სხვაბიდან	21,997	32,411
მიღებული დივიდენდები	945,500	-
საპროცენტო შემოსავლები	35,679	29,469
უსასყ. შეძენა	-	24,496
სხვა	48	-
სულ	3,063,240	86,375

16 სექტემბერი, 2025

თბილისი, საქართველო

შპს ჯეოფაივ ჩემიკალ

თბილისი, აგლამის 39

ს/ნ: 404525643

TEL: 571600677

2.3 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	12/31/2024	12/31/2023
შრომის ანაზღაურება	-251,250.00	-147,750
სოციალური დანარიცხები	-4,946.43	-3,276
კომუნიკაციის ხარჯები	-2,400.00	-2,453
კომუნალური ხარჯი	-47,166.27	-20,485
დაზღვევა	-1,010.60	-7,558
ცვეთა და ამორტიზაცია	-216,579.76	-189,477
სხვა საგადასახდო ხარჯი	-50,120.40	-52,468
რემონტი	-5,894.92	-
სხვადასხვა	-29,931.15	-26,506
სულ	-609,300	-449,973

2.4 ფინანსური და სხვა არასაოპერაციო ხარჯი.

ფინანსური ხარჯი	12/31/2023	12/31/2024
საპროცენტო ხარჯი ბიზნეს სესხი	-240,376	279,316
სულ	--240,376	-279,316

სხვა არასაოპ. ხარჯი	12/31/2024	12/31/2023
ძირ. საშუალების რეალიზაციის ხარჯი	-2,048,086	-
ზარალი კურსთაშორის სხვაბიდან	-189,070	-105,813
ნაკვეთის ხარჯები	-126,909	-
სხვადასხვა	-10,279	-123,619
სულ	-2,374,343	-229,432

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები


ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია 2025 წლის 16 სექტემბერს ხელმძღვანელობის მიერ.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია.

ხელმომწერი პირები:

დირექტორი ი. ღუმბაძე

მთავარი ბუღალტერი მ. აფრიაშაშვილი



16 სექტემბერი, 2025

თბილისი, საქართველო